წელიწადი მეორე. — № 21. პარიზი, 15 (2) თებერვალი 1905 წ.

საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო

წლიური ფასი . . . . 5 მანეთი.
თითო ნომერი . . . . . , ... — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი:
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

კავკასიის ხალხთა მიმართ. — ამბოხება და მუშათა გაფიცვანი საქართველოში. — სისხლისღვრა პეტერბურგში. — სინდიკალიზმი კ. ორგეიანისა (დასასრული).

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

კავკასიის ხალხნო! უეჭველია, გაგებული გაქვსთ, რა საშინელი სისხლისღვრა მოხდა 9 იანვარს პეტერბურგში. იცით, რომ დანთხეული სისხლი იყო სისხლი მუშა ხალხისა, წელში გატეხილ, გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩავარდნილ ხალხისა, რომელმაც მეფესთან მისვლა განიზრახა და მეფისათვის უნდა შეეჩივლა თავისი გაჭირვება და სიღატაკე. ხალხს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ნიკოლოზ II მოისურვებდა მის ნახვას, მოისმენდა მის თხოვნას და შეუმსუბუქებდა ცხოვრების მძიმე უღელს, დაეხმარებოდა, ხელს გაუწოდებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეშევრდომთ.

და ამ განზრახვით პეტერბურგის მუშა ხალხმა დაამზადა თხოვნა, რომელშიაც აღწერა ყოველი თავისი საჭიროება; აღნიშნა თხოვნაში, რომ მას დიდი სურვილი აქვს ადამიანურ ცხოვრებისა, და ამ სურვილის განსახორციელებლად აღიარა შემდეგი: რუსეთის იმპერიაში სინიდისს, აზრს და სიტყვას უნდა მიენიჭოს თავისუფლება, ადამიანის პიროვნება ხელშეუხებელი უნდა გახდეს, ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფალ მისვლა-მოსვლისა, თავისუფალ შეკრებისა და თავისუფალ მოქმედებისა თავის ინტერესების დასაცავად; რუსეთისხალ ხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მმართველობაში; ხალხმა უნდა ამოირჩიოს თავისი წარმომადგენლები საყოველთაო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლების შემწეობით.

ამასთან მუშა ხალხმა საქვეყნოდ და მთავრობის საყურადღებოდ გამოაცხადა, რომ 9 იანვარს იგი წამოვა მეფის სასახლისკენ უიარაღოდ, მშვიდობიანის განზრახვით. გამოაცხადა, რომ: მე მეფის ნახვა მწადია და მეფისათვის ამ ქაღალდის მირთმევა. სიტყვას ვაძლევ მთავრობას, რომ არაფერ უწესოებას არ ჩავიდენ. მეფეს არავითარი საფრთხე არ მოელის, მეფის პიროვნებას ჩვენ დავიცავთ, ოღონდ მოგვისმინოს და მიიღოს ჩვენი თხოვნაო.

ამნაირის მშვიდობიანის განზრახვით და მამაშვილურის ნდობით დაიძრა კვირას 9 იანვარს პეტერბურგის მუშა ხალხი და პეტერბურგის მიდამოებიდამ ათასობით წამოვიდა მეფის სასახლისკენ.

კავკასიის ხალხნო! ძნელი სათქმელია, რაც მოხდა ამ დროს! მუშა ხალხი წამოვიდა პეტერბურგისაკენ თავის ჯალაბობით; მუშებს ცოლები, დები და შვილები გამოჰყვნენ. და აი ამ ხალხს მეფის ბრძანებით დაუშინეს თოფები. გამოიყვანეს ჯარი და მიუსიეს უიარაღო მშვიდობიან ხალხს. შეიღება სისხლით არემარე, გაივსო ქუჩა-მოედნები მოკლულთა გვამებით! ზარდაცემული ხალხი დაჩოქილი ევედრებოდა ჯარისკაცთ, ქალები და ბავშვები შეიბრალეთო. ხოლო გამხეცებულ და სისხლით დათვრალნი ჯარისკაცნი მუხლმოდრეკილ ხალხს ახლიდნენ თოფებს და მათს გულამდე არ მიაღწია არც ოხვრამ ტანჯულთა და არც კვნესამ დაჭრილთა! რამდენიმე ათასი კაცი, ქალი და ბავშვი მოჰკლეს და დასჭრეს ამრიგად 9 იანვარს პეტერბურგში ნიკოლოზ მეორის ბრძანებით!

საუკუნოდ იყოს ხსოვნა ამ უდანაშაულოდ დახოცილთა! ხალხი არ დაივიწყებს ამ საშინელ დღეს და ვერ აპატიებს იმას, ვისი სახელით და ბრძანებითაც იმსხვერპლეს ამდენი სიცოხლე! შემაძრწუნებელ ავაზაკობის მნახველმა ხალხმა ჩაიმარხა გულში შურისძიება. საუკუნოებით მთავრობის მორჩილებაში აღზრდილმა, მან ამ საშინელ დღეს გაახილა თვალები, შეიგნო თავისი შეცდომა, გაიგო, რომ მეფე მისი მცველი და მფარველი კი არ არის, არამედ მჩაგვრელი და მკვლელია. ყველა ეს გაიგო მუშა ხალხმა. მოკლულმა ძმებმა, მამებმა, დებმა და პატარა ბავშვებმა საზარლად დასახიჩრებულნი რომ ეყარნენ ქუჩებში, დაანახვეს სინამდვილე: მათი გვამები თითქოს ღაღადებდნენ: ჩვენ ვართ მსხვერპლი ჩვენის შეუგნებლობისა. შევცდით, მეფე ყოფილა ჩვენი ნამდვილი მტერიო, — სიკვდილი მკვლელს! ძირს ავაზაკი თვითმპყრობელობა! ჩვენ აღარ ვართ, უსულო გვამებად გადავიქეცით, ხოლო თქვენ, ვინც დარჩით, დაამსხვრიეთ მონობის ჯაჭვები, გახდით თავისუფალნიო!! დღეს რუსეთის ხალხი ემზადება დიდ საქმისათვის. დღეს რუსეთში რევოლუცია იწყება....

კავკასიის ხალხნო! რუსეთის მთავრობა თქვენც მძიმე ლოდივით გაწევსთ კისერზე, მან თქვენც მოგტეხათ წელში, წაგართვათ ყველაფერი, რაც გებადათ, მოგისპოთ საშუალება ადამიანურის სიცოცხლისა. აგერ ერთი საუკუნეა, მწარის გამოცდილებით იცით, რა მძიმეა მონობის უღელი, რომელიც რუსეთის მთავრობამ დაგადგათ კისერზე. ხოლო დღეს დაგიდგათ დღე ანგარიშის გასწორებისა! კავკასიის შრომის შვილნო: ქართველნო, სომეხნო, თათარნო,

თუ ლეკნო. მოგმართავთ თქვენ, რადგან მიუხედავად სხვა და სხვა ხარწმუნოებისა და ეროვნებისა, თქვენი ხვედრი ერთნაირია, ყველანი ერთნაირად ხართ შეკიწროებულნი, ერთნაირად იჩაგრებით, ერთნაირი მტერი და მოყვარე გყავსთ. როდესაც ლუკმა პურის სამოვნელად მიადგებით ხოლმე რომელსამე ქარხანას, და იქ ჩალის ფასად აძლევთ თქვენს ძალღონეს და ახალგაზდობას სხვის ჯიბის გასასქელებლად, ერთნაირია მაშინ თქვენი ჭაპანწყვეტა და დამცირება, სომეხი ხართ, ქართველი თუ თათარი. როდესაც ძინდორ-ყანებში გამოდიხართ სამუშაოდ, დილიდამ საღამომდე ოფლსა ღვრით და თქვენის ნამუშავრიდამ ნახევარს ან მესამედს მემამულეს აძლევთ, მაშინაც ერთნაირია უსამართლობა, რომელსაც ყველანი უნებურად ემორჩილებით.

კავკასიის შრომის შვილნო, პროლეტარიატო და წელში მოხრილო მიწის მუშაკო! ყოველივე, რასაც ვხედავთ ჩვენს გარემემო თქვენის შრომით არის გაკეთებული. მთა-ბარი თქვენის ოფლით არის მორწყული, თქვენ ააყვავეთ ყანები, ბაღები და ვენახები. თქვენ გააშენეთ დიდი ქალაქები, თქვენ შეამკეთ და მორთეთ ისინი, თქვენის შრომით სცოცხლობს ჩვენი ცხოვრება, ხოლო თქვენ კი გამორიცხულნი ხართ ამ ცხოვრებიდამ! კეთილდღეობა, თქვენის შრომით რომ არის წარმოშობილი, თქვენ არ გხვდებათ. როდემდის უნდა ითმინოთ ამნაირი უკუღმართობა და უსამართლობა?

ძველ დროში ერთმანერთში ჩხუბი გქონდათ, ხშირად ერთი ერი მეორეს წინააღმდეგ გაილაშქრებდით ხოლმე. დღესაც კავკასიის სხვა და სხვა ერის «მაღალ» წოდების და კლასების წარმომადგენელნი მფოფთსა და დავაში არიან. «ჩემი ერის ისტორია უფრო დიდებულია», გაიძახიან ერთნი. «ჩვენი ჯიბეები უფრო სქელია და თქვენცა და თქვენს დიდებულ ისტორიასაც ვიყიდითო», უგებენ მეორენი. და ასე, ამნაირად კინკლაობენ თ.-აზნაურული და ბურჟუაზული კლასები კავკასიის სხვა და სხვა ერებისა. ხოლო ხალხის გულს ეს ჩხუბი და დავა არა სვდება. კავკასიის მშრომელი ხალხი გაერთიანებულია მწარის ბედით. და დღეს მზად არის თავის გაერთიანებულის ძალით იერიში მიიტანოს თავის შინაურ და გარეშე მტერზე!

მემამულე, კაპიტალისტი და რუსეთის თვითმპყრობელობა — აი ვის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს კავკასიის მშრომელმა ხალხმა. მემამულეს და კაპიტალისტს — შრომის იარაღი აქვსთ დასაკუთრებული. ერთს მიწა აუღია, მეორეს ქარხანა და ყოველგვარი საწარმოოვ იარაღი. თვითმპყრობელობა კიდევ მემამულის და მექარხნის მფარველად გამოდის და ამასთან ყოველთვის იყო და არის თავისუფალ აზრის და მოქმედების დამხშველი. ხოლო კავკასიაში და სხვაგანაც არა-რუს ეროვნებათა მდევნელიც გამოვიდა. ამ სამ ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ უნდა აღსდგეს გაერთიანებული ძალა კავკასიის მშრომელ ხალხისა!

ამ დიად ბრძოლის მიზანი უნდა იყოს მოსპობა სოციალურის და პოლიტიკურ მონობისა. დამყარება თანასწორობისა და თავისუფლებისა. შრომის იარაღი — მიწა და კაპიტალი ქარხნებითურთ მშრომელთა კავშირების ხელში უნდა გადავიდეს. მათვე უნდა ჰქონდესთ უფლება ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია შემოიღონ, როგორიც უფრო დააკმაყოფილებს მათს კულტურულ საჭიროებას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სოციალიზმის დიადი იდეალი ერთ დღეში არ განხორციელდება. მხოლოდ იმაში ვართ დარწმუნებულნი, რომ მისი განხორციელება მხოლოდ რევოლუციის საშუალებით არის შესაძლებელი. მაგრამ რევოლუციის საშუალებითაც ერთ დღეში არ დამყარდება სოციალიზმი. საჭიროა მრავალი, გამუდმებული აქტები რევოლუციონურის ხასიათისა. საჭიროა ცხოვრების ყოველმხარის გაუმჯობესების მოპოვება ამ საშუალებით. თუ მთელ მიწას ვერ დაისაკუთრებენ დღეს მიწის მუშაკნი, საჭიროა საზოგადო დასაკუთრება იმოდენის მაინცა, რამდენიც დღეს აუცილებლივ საჭიროა გაჭირვებულ გლეხობისათვის. თუ ქარხანას დღეს პროლეტარიატი ხელში ვერ ჩაიგდებს, საჭიროა მოიპოვოს 8 საათიანი სამუშაო დღე, საჭიროა ხელფასი მოამატებინოს. და ყოველივე ამას მოიპოვებს საერთო გაფიცვის საშუალებით, რევოლუციონურის აგიტაციით და შეიარაღებულის თავსდასხმის საშუალებით!

კავკასიის შრომის ხალხნო! თქვენს მარჯვენაზე და რევოლუციონურ სიმტკიცეზეა დამოკიდებული თქვენი მომავალი. იარაღით, ძალის ხმარებით მოუღებთ ბოლოს თქვენს ეკონომიურ მონობას. მხოლოდ იარაღით უნდა მოსპოთ თქვენი მონობა პოლიტიკური. ამიტომ ცენტრალისტურ მმართველობასთან უნდა გასწყვიტოთ ყოველი კავშირი. კავკასიის ერნი მოიპოვებენ ეროვნულ ავტონომიებს. გააერთიანებენ ამ ორგანიზაციებს ერთმანერთში და ამრიგად კავკასიის კონფედერაციას შეჰქმნიან. რუსეთის ხალხთან ურთიერთობაც ამ პრინციპზე ამენდება.

მაშ ძმურად ხელი გავუწოდოთ რუსეთის რევოლუციონერებს! თავისუფლების ხანა გვიდგება! მთელი რუსეთი ამოძრავდა, დამონებულნი ერნი ფეხზე წამოდგნენ! მთავრობა ვერ მოიგერებს ამ აუარებელ რაზმების იერიშს. უკვე შეირყა ნორმალური მსვლელობა სახელმწიფოს ცხოვრებისა. სახელმწიფოს ერთ რომელსამე კუთხეში მუშების მიერ საერთო გაფიცვის გამოცხადება ან ამბოხების მოხდენა მთელ იმპერიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას არყევს, აჩერებს. ყველა ამას დაუმატეთ ოცისგან გამოწვეული ზარალი და საქმეების არევ-დარევა. არა, თვითმპყრობელობის დღენი დათვლილია!

მაშ იარაღი ხელში, კავკასიის ხალხნო! უკვე იცით, რა დღე დაადგათ პეტერბურგის მუშებს, რომელთაც უიარაღოდ მოინდომეს მთავრობასთან ლაპარაკი! თავისუფლება კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ხალხიდან წარმოშობილა. თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლი წმიდაა! თავისუფლებისათვის განწირული სიცოცხლე დიდებულია! მაშ გაუმარჯოს იმ გმირ მებრძოლთ, ვინც ადამიანის და ხალხთა განთავისუფლებისათვის მზად არიან შესწირონ თავიანთი ძალღონე, ახალგაზდობა და სიცოცხლე!

გაუმარჯოს კავკასიის მშრომელ ხალხთა ფოკრის ერთობას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ სოციალიზმს!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას და კავკასიის მომავალ კონფედერაციას!

საზღვარგარეთის კომიტეტი ქართველ სოც.-ფედერ. სარევ. პარტიისა.

პარიზი, 30 იანვარი 1905 წ.

ამბოხება და მუშათა გაფიცვანი საქართველოში

I. წერილი ტფილისიდამ.

მუშათა გაფიცვა ტფილისში.

18 იანვარს დილის 6 საათზე აქაურ ქუჩებში და განსაკუთრებით რკინის გზის სახელოსნოებსა და დეპოში ყველას რაღაც არაჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა. წინა დღით ე. ი. 17 იანვარს კომიტეტისგან გადაწყვეტილი იყო, რომ 17 იანვარს დილით 9 საათზე რკინიის გზის სახელოსნოებიდამ მიეცათ უნებური სტვენა, ნიშნად გაფიცვის დაწყებისა. ეს ამბავი მეფის ლაქიებს უკვე გაეგოთ და იმ დღეს საყვირს დარაჯები დაუყენეს. საღამოს კრებაზე გადასწყვიტეს დარაჯებზედ ძალის ხმარება და დანიშნულ დროზე საყვირით ნიშნის მიცემა. მაგრამ, 18 იანვარს დილით საყვირის მილები მეფის ლაქიებს უკვე დაეხსნათ, ერთი როტა ჯარიც მოვიდა და აგრეთვე ჟანდარმთა კაპიტანი თავისის ჟანდარმებით. ამის მიუხედავად, როგორც შესრულდა 9 საათი, ხალხი რაღასაც ელოდდა. მართლაც იქვე მდგომ რამდენისამე ორთქლმავალებიდამ გაისმა საყვირების არეული-დარეული ღრიალი. ერთს წუთს მთელი ლიანდაგი ხალხის ბრბოთი გაივსო. თითქმის 7 ათას კაცზე მეტი იყო. მუშებმა ასწიეს მაღლა ორატორი და გაიმართა სიტყვების წარმოთქმა. ჟანდარმები ცდილობდნენ ახლოს მისვლას და მის ხელში ჩაგდებას, მაგრამ რა ნახეს, რომ ხალხი ორატორის გარემემე ჯგუფდებოდა და ღელდებოდა, შედგნენ. ორატორის ლაპარაკის დასრულებისთანავე გაისმა ყვირილი: „ძირს თვითმპყრობელობა!“ და სხვ. მეორედ კიდევ ასწიეს მაღლა ორატორი და დაიწყო ლაპარაკი პოლიტიკურ ბრძოლის საჭიროების შესახებ. პირში დიდრბლებ მოხულმა კაპიტანმა ხვეწნით მიმართა მორიდან ორატორს: Ради Бога, довольно говорить! მაგრამ იმის სიტყვებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. როგორც პირველად, ისე მეორედაც ორატორის სიტყვების დასრულებისთანავე გაისმა იგივე „ძირს თვითმპყრობელობა“ და სხვ... ეს მოხდა სულ 3/4 ხაათის განმავლობაში. შემდეგ ხალხი გაემართა „ბარსელიეზის“ სიმღერით დიდუბისაკენ. იქ, სადაც დამოყენის ქუჩას ხეჭის გორის ქუჩა, ე. ი. ჯვარედინ ქუჩაზედ, ხალხი შედგა, ასწიეს მაღლა ორატორი, რომელმაც იგივე სიტყვები წარმოსთქვა. აქაც ხალხმა დაჰგმო მთავრობა და ამის შემდეგ ყველანი დაიშალნენ თავიანთ ნებით 10 1/2 საათზე. იმავე დღეს გაიფიცნენ სტამბის მუშები და იარალოვის ქარხნის მუშები.

19 იანვარს, ნამუადღევის 1 საათზე, დიდუბეში, იმავე ალაგას შეგროვდნენ გაფიცული მუშები ბევრად მეტი, ვიდრე წინა დღეს. პოლიციაც და ჯარიც მზად იყო. ორატორის აწევის და სიტყვების წარმოთქმის დროს, პოლიცმეისტერი კოვალევიც გაჩნდა და მიმართა ხალხს შემდეგის სიტყვებით: მოთხოვნანი გადმომეცით, გუბერნატორს წარვუდგენ და სამს საათზე შეიკრიბენით, პასუხს გადმოგცემთო“. შემდეგ მოთხოვნის გადაცემისა გაფიცულები დაიშალნენ და სამ საათისთვის ისევ შეიკრიბნენ. მოვიდა კოვალევიც და შემდეგი სიტყვები გამოუცხადა ხალხს: „ამოირჩიეთ დეპუტატები 10 ან 15 კაცი და ჩემის თანახლებით წავალთ გუბერნატორთანაო“. გაფიცულებმა უპასუხეს: „რადგანაც თქვენი გაიძვერაობა ვიცით, დარწმუნებულნი ვართ, რომ იმ ამორჩეულებს ეხლა თუ არა, შემდეგში მაინც დაიჭერთ. ამიტომ ჩვენის მოთხოვნის განხილვა აქვე უნდა მოხდეს მთელ გაფიცულების წინაშეო“. კოვალევმა უპასუხა: „რადგან მე იმდენი მონდობილობა არა მაქვს, რომ მე თვითონ მოგელაპარაკოთ, ამიტომ ყრილობა გადავსდოთ ხვალის 9 საათისათვის, რომელზედაც როგორც გსურდესთ, ისე გადასწყვიტეთო“. ამ სიტყვების შემდეგ გაბრუნდა აჩქარებით ეტლისაკენ. ყრილობა გადაიდო მეორე დღის დილის 9 საათისათვის. შემდეგ ხალხი დაიშალა. ამ დღეს დილიდან გაიფიცნენ ადელსანოვის ქარხნის მუშებიც. რამდენიმე დღეა, რაც გაზეთები აღარ გამოდის „კავკაზის“ გარდა.

20 იანვარს, დილის 6 საათიდან შემდეგი განცხადება იყო გაკრული ყველა ქუჩებში:

„ტფილისის გუბერნატორისაგან. გუშინ 19 იანვარს რკი-
„ნის გზის სახელოსნოების მუშებს მათისავე თხოვნით
„ნება დავრთეთ ამოერჩიათ 15 კაცისაგან შემდგარი დეპუ-
„ტაცია მოთხოვნილებების წარმოსადგენად. რადგან ამ
„შემთხვევით მუშებმა არ ისარგებლეს და მამინვე არ ამო-
„არჩიეს კაცები, ამ მიზეზით ქუჩებში ყოველგვარი ყრილო-
„ბები სახტიკად აკრძალულია. რისთვისაც ზომები იქნება
„მიღებული, 20 იანვარი 1905 წ.“.

და ამგვარად სინოდის დაკარგულმა მთავრობამ მეორე დღეს უარჰყო თავისი დაპირება: დაპირებული ყრილობა აღარ მოახდინა. ყველა ქუჩებში პოლიციელები და ჯარისკაცები დაძრწოდნენ. მიტინგის გამართვა ყოველად შეუძლებელი გახდა. ამ დღეს გაიფიცნენ ელექტრონის და ცხენის რკინის გზის ყველა მოსამსახურენი. მხოლოდ შუადღისას რამდენისამე ცხენებ მებმულ ვაგონებს ათრევდნენ ჯარისკაცების შემწეობით. ელექტრონის ტრამვაი კი შემდგარია დღესაც. 21-ში გაიფიცნენ მაქრის პურების მკეთებელ ქარხნის მუშები და ხელოსნები.

23 იანვარს, კვირას დილის 7 საათიდან დიდ მოძრაობაში იყვნენ ჯამუშები და მათი ავან-ჩავნები. ყველა ქუჩებზე ჯარი იდგა მოძზადებული. აგრეთვე დაძრწოდნენ ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად ყაზახ-რუსები. ყველგან სიჩუმე სუფევდა, მარტო ჟანდარმების ცხენების თქაფა-თქუფი არღვევდა ამ სიჩუმეს. მუშები გამოვიდნენ სახაზინო თეატრთან შუადღის 12 საათზე. როდესაც ასწია ერთმა მუშათაგანმა წითელი ბაირაღი და გამოვიდა შუა ქუჩაში ყვირილით, მას მიჰბაძეს ამხანაგებმა და შეგროვდა 430 კაცამდე, რომლებმაც მარჯვედ მოჰფინეს ქუჩა პროკლამაციებით, დაიწყეს რევოლვრების სროლა ჰაერში. ამით ატყობინებდნენ დანარჩენ ამხანაგებს, რომ ერთად შეგროვილიყვნენ. სამის წუთის შემდეგ მოვარდრნენ ჟანდარმები და ყაზაზ-რუსები და უწყალოდ დაუმინეს თოფები და ხმლები. მოჰკლეს 5 მუშა და ბევრიც დასჭრეს. პოლიციის მხრივ დაიჭრა ორი. შეიპყრეს 50 კაცამდე.

ასნალა.

II. წერილი ბათუმიდან.

საზოგადოება და განსაკუთრებით მუშები მეტად აღელვებულნი არიან. რიგ-რიგად გაიფიცნენ მუშები ზოგიერთ ქარხნებში, გაიფიცნენ მეეტლენი; ხალხის ჩვალებისათვის შური იძიეს და მოჰკლეს საეროზო დარაჯთა პრაპორშიკი თ. ლევ. გურიელი, ინყენერი ალექსანდერი, ბოქაული კოხტავა. აქაურს გუბერნატორს თავს ზარი დაეცა და ქუთაისიდან ჯარი დაიბარა. მოკლე ხანში უნდა გაიფიცნენ ყველა ქარხნების და ნავთსადგურების მუშები, ხელზე მოსამსახურენი და მზარეულნი ორისავე სქესისა.

გურიელის მოკვლამ ძალზე შეაშინა ყველანი. მისი გვამი სამი დღე იდო პოლიციამი უკუბოდ, რადგან კუბოს გამკეთებელი ვერავინ იშოვეს. ვისაც არ ეტყობოდნენ, ყველა უარს ამბობდა, ყველას ეშინოდა, მუშამბა შური არ იძიონ და არ მომკლანო (ზნა-მზარეული კუბო მოკლულის ზომისა ვერსად იშოვეს). ბოლოს, რის ჩვალებით კუბო იშოვეს. ბოქაულმა საგანგებო დარაჯები დაიბარა რკინის გზის სადგურამდე მისაცილებლად (მოკლული ოზურგეთში უნდა ჩაესვენებინათ), რადგან ეშინოდათ, მუშებს კუბო არ მოეტაცნათ. სადგურამდე კუბოს პოლიციის გარდა არავინ მისდევდა, თვით ნათესავებმაც კი ვერ გაჰბედეს მუშების შიშით. ქალაქში ხმა გაჰყარეს, რომ მუშებს გადაწყვეტილი აქვსო „გურიელი დასაჯონო“, ე. ი. მიცვალებული მოიტაცონ და დაჰკიდონო!

როგორც იყო, გაისტუმრეს ნატანებში და იქიდან ოზურგეთში ჩასვენება კი ვეღარ მოუხერხებიათ, რადგან ყველა უარს ამბობს და კუბო დღესაც იქა სდგასო.

მთელს ბათომში ადამიანს ვერ იპოვით, რომ მოკლულს ავად არ ეხსენიებდეს და არ ეხაროდეს მისი სიკვდილსვინ მოსთვლის მისს სიმხეცეს და ბულქვაობას! [illegible] დაანგტყობდა, ფული აქვსო, შარს მოსდებდა, რა[illegible] [illegible] [illegible] [

და 500 მანეთი მათი ვალი საფლავში ჩაიტანა. ვინ იცის, რამდენი უმათრახებია, რამდენი მოუკლავს კიდეცა. ზოგიერთ მუშას დღესაც ატყვია გვალი მისის მათრახისა, რომელსაც ენა რკინით ჰქონდა მოჭედილი და მისის გვარის პირველი ასო „გ" ჰქონდა გაკეთებული, და სწორედ ეს „გ" არის აღბეჭდილი მის მიერ ნაცემ და ნაგვემ მუშების სხეულზე.

გაიფიცნენ საკომისიო, დამზღვევ და სხვა კანტორათა მოსამსახურენი. მოელიან საერთო გაფიცვას. მცხოვრებნი მთელის კვირის სამყოფ სასმელ-საჭმელს იმარაგებენ. ნავთსადგურში გემებს არავინ ტვირთავს, ხოლო დატვირთული გემები დატვირთულივე უკან ბრუნდებიან.

აქაურ გაზეთის „მავისლვის უწყების" აწყობის ნებას მუშები არ აძლევენ.

თუ რამდენად დაეპატრონნენ მუშები მთელს ქალაქს, შემდეგის ფაქტიდანა სჩანს. ერთ დაკეტილ საყასბოს ფატრონს გუბერნატორმა ჰკითხა: რატომ არ აღებ დუქანსაო? ყასაბმა დამშვიდებულად უპასუხა: „ჩვენ, ბატონო, ორი გუბერნატორი გვყავს: ერთი ბათუმისა და მეორე ბარცხანისა (ბარცხანა უბანია ბათუმისა, სადაც ქარხნებია და მუშები სცხოვრობენ). ბარცხანის გუბერნატორისა უფრო გვეშინიან, რადგან ურჩობისათვის ბარცხანისა მოგვკლავს, ხოლო ბათუმისა მხოლოდ ციხეში ჩაგვსვამს".

გიმნაზიელებმაც მოახდინეს მანიფესტაცია. ერთი მათგანი, ზაქარიაძე, დაჭერილია. ხსვებს წინ მიუძღოდა და ზელმწიფის სურათს ხევდა საჯაროდ. ბევრს გამორიცხვას უპირებენ.

ყაზახრუსები თავს გადიან. ქუჩაში ადამიანს ისე ვერ გაუვლის, რომ ყაზახრუსებმა ჯიბეები არ გაუჩხრიკონ, იარაღი ხომ არა აქვსო და ამავე დროს ჯიბიდან ყველაფერს აცლიან: ფულს, საათს და სხ. ქალაქის თავმა კომენდანტთან იჩივლა ამის გამო. ამანაც ყაზახები გააჩხრეკინა და ათზე მეტი მოპარული უბის საათები აღმოაჩნდათ.

—()—

სამტრედია.

რუსეთში გაფიცულ მუშებს ჩვენმა პატარა სამტრედიამაც მისცა ბანი. გაფიცულმა მუშებმა სამტრედიის ახლო რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს და მატარებელთა მიმოსვლა შეაჩერეს. მაზრის უფროსმა 50 ყაზახრუსი მოიყვანა და გაფიცულებთან შეტაკება მოუხდა. ორი ყაზახრუსი მოკვდა ამ შეტაკების დროს.

—()—

გურიიდან.

მემამულენი თავზარდაცემულნი გარბიან სოფლებიდან. მუშაობა ყველგან შეწყვეტილია. ხალხი სასამართლოში არ დადის საქმის გასარჩევად. თვითონ ჰყავს რამდენიმე კაცი ამორჩეული და რაც რამ საქმე ექმნება, ამ ამორჩეულ კაცებს არჩევინებს. თანაც ვერავინ ჰბედავს მთავრობის სასამართლოს ან პოლიციას მიმართოს, — რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს დაუსჯელი ვეღარ გადურჩება. ბევრს სასამართლოდან უკანვე გამოუტანია თავისი თხოვნები და გადაუცია ხალხის სამართლიან სასამართლოსათვის გასარჩევად. ოზურგეთის მოსამართლეს უფროსებისათვის მოუხსენებია, რომ ხალხი ჩემთან აღარ დადის, მე არაფერსა მთხოვს და საქმე არაფერი მაქვსო.

ოზურგეთში რევოლუციონერებმა 31 იანვარს მოჰკლეს მომრიგებელი შუამავალი თავადი ტრიფონ (ტიფო) ნაკაშიძე, რომელიც მთავრობასთან ხალხს აბეზღებდა.

—()—

დ. ყვირილა.

ამას წინად თოფით მოჰკლეს ერთი რუსი, რომელსაც ს...შობის სახელი დიდი ხანია გავარდნილი ჰქონდა. დათანასწორ... დღეს ვერავინ იშოვნეს კუბოს ამწევი და ...ქულებულნი იყვნენ დაეჭირავებინათ ექვსი ღი — მიწა და... ძაღლსავით მიეთრიათ სასაფლაომდის. თა კავშირების ხე...ათ, ხალხი ხარხარით აცილებდა და ჰქონდესთ უფლება ...დეთ, ახლოს ჰაერს მოსწამლავსო!" ცია შემოიღონ, როგო... მათ კულტურულ საჭირ...

მეორე ჯაშუშიც ამას წინედ ს. შორაპნიდან გაისტუმრეს საიქიოს.

როგორც ამბობენ, ბევრს ამ ვაჟბატონებს მოსდის უსახელო წერილები. ატყობინებენ, რომ მათზედაც მალე მიდგება რიგიო.

სისხლისღვრა პეტერბურგში

ფრანგულ გაზეთს «მატენს» თავისი კორესპონდენტი პეტერბურგიდან 22 (9) იანვარს დეპეშით ატყობინებს: «დღევანდელი დღე ტრაგიკული დღეა, ადამიანის სისხლმა შეღება ქალაქის ქუჩები.

ნაშუადღევის ორის ნახევარზე საზამთრო სასახლის პირდაპირ ვსდგევარ. ჩემს გვერდით რამდენიმე უწყინარი მაყურებელი სდგას და მანიფესტანტებს მოელის. მოულოდნელად, თითქო თავზე მეხი დაგვეცაო, არც კი გავუფრთხილებივართ, ისე ცხენოსან დარაჯთა კაპიტანმა ჩვენს წინააღმდეგ ცხენაბი გამოაქანა და დაუწყო ყველას ხმლებით ჩეხვა და ცხენის ფეხებით სრესა.

მივაშურე ალექსანდრეს ბაღს და რკინის ღობეს ავეყუდე. ხალხი შიგ შესულიყო. იმედი ჰქონდათ, აქედან ყველაფერს ადვილად დავინახავთ და არც კავალერისტების ტყვიები მოგვხვდებაო. საადმირალო კოშკზე ორმა საათმა დაჰკრა. საშინლად ჰყინავს, ბაღის ხეები ყინულის ლოლუებით დახუნძლულია. ამ ბაღში სამარისებური სიჩუმეა გამეფებული. სქლად დადებული თოვლი უფრო ასევდიანებს აქაურობას.

უეცრად ბაღში თოფების სროლის გახშირებული ხმა გაისმა. პრეობრაჟენსკის პოლკის სალდათები აქ შეფარებულ ხალხს დაერივნენ და უწყალოდ ჟლეტა დაუწყეს. რამდენიმე ასი კაცი მოცელილივით დაეცა მირს; მოკლულთა რიცხვი ას ორმოც-და-ათს აღემატება. მოკლულთა უმეტესობა ბავშვები, ქალები და ახალგაზდა ყმაწვილებია. საშინელებაა... სისხლი ყველგან სჩქეფს...

სამ საათამდე მჭიდროდ დასახლებულ უბნებში სისხლი არ დაღვრილა. მაგრამ სხვა უბნებში კი ჯარისკაცნი უწყალოდ ხვრეტდნენ და ჩეხავდნენ ხალხს. ამბობენ, მღვდელი გაპონი დაჭრილთა შორის არისო. ხელში ჯვარი სჭერია და პუტილოვის ქარხნის მუშებს ქალაქისაკენ მოუძღოდა თურმე, როცა დაჭრილა.

საღამოს ხუთ საათისათვის ხალხს ჯარი შემოეხვია ყველა მხრიდან, მიაწვა გასაჟლეტად.

ზარდაცემულმა ხალხმა არ იცის, თავს რით უშველოს. ქალები, ბავშვები თავტანდაკარგულები მირბიან, ფეხი უცურდებათ, ეცემიან, წამოდგებიან და ისევ მირბიან, ხელახლა ეცემიან.

ამ დროს გაისმის ბრძანების ხმა, ცივად და ხალხი მირს ეცემა. საშინელი საყურებელია! ამბოხება და ჯართან შეტაკება ჯერ არ მომხდარა. მანიფესტანტები ყველანი უიარაღონი არიან და ჯარისათვის არსად შეუტევიათ.

თვალს ვერ აშორებ ამ საშინელ სურათს. ყველას ცრემლი ჩამოჰრეცხს ლოყებზე; ერთიერთმანერთს ეხმარებიან, რომ მოკლულნი და დაშავებულნი მარხილებზე დაყარონ.

ვასილის კუნძულზე მივდივარ. ყველგან ჯარი და ყაზახრუსებია. თოფების ყოველ დაცლაზე ხალხი მირს ეყრება; თოფების დაცლის დროსვეა, რომ

მკვდრებსა და დაჭრილებსა ჰკრეფენ. სალდათები პირდაპირ თავში უმიზნებენ და მათი მსხვერპლებიც საშინლად დასახიჩრებულნი არიან. ერთი ქალი სწორედ ჩემს გვერდით დაეცა; ცოტა მოშორებით ფეხი ადამიანის ტვინს დავადგი. იქვე ეგდო რვა წლის ბავშვის დამახინჯებული გვამი; დედა მისჩოქებია საცოდავს და ზედ დასტირის. სამოციოდ დაჭრილი ქალი და კაცი რის წვალებით მილასლასებს, და უკან რჩება გრძელი კვალი სისხლის ნაკადულისა.

მეტის თქმა აღარ შემიძლია. გული მეწურება ადამიანთა ასეთის უწყალო ჟლეტის მნახველს. თან ამასა ვწერ და თან მესმის განუწყვეტელი თოფების გრიალი: ვასილის კუნძულზე უწყალოდ ჟლეტენ მუშებს.

უკვე ორ ათასამდეა ასული მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვიო, — ამბობენ ერთნი; — ერთი-სამად და ერთი-ოთხად მეტიაო, — გაიძახიან სხვები.

ადამიანთა ხოცვა ჯერ კიდევ გათავებული არ არის.

—○—

Daily Telegraph'ის პეტერბურგელი კორესპონდენტი აი რას ამბობს უიარაღო ხალხის ხოცვის გამო:

ხელმწიფემ 22 (9) იანვარს გადასწყვიტა შეეჩერებინა სამოქალაქო მთავრობის მოქმედება და წესიერების დაცვა მიანდო დიდ მთავარს ვლადიმირს, რომელმაც შებრალება არ იცის ასეთს შემთხვევაში. ვლადიმირს უთქვამს: « ხალხის არეულობის მოსასპობად ერთად-ერთი წამალი არსებობს: ხალხის წინ უნდა ჩამოიხრჩოს ორას-სამასი უკმაყოფილო ადამიანიო ».

23 იანვარს ინგლისურ გაზეთებში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი:

ნარვის კარებთან მოკლულია 300 კაცი და დაჭრილი — 500; მოსკოვის კარებთან, მოსკოვის რკინის გზის სადგურის ცოტა ქვემოდ, 500 მოკლულია და 700 დაჭრილი; ვასილის კუნძულის უბანში 200 მოკლულია და 500 დაჭრილია; სხვა ადგილებზე 100 მოკლული და 500 დაჭრილია. ეს ციფრები პოლიციის მიერ არის მოცემული.

პეტერბურგის მუშების პეტიცია ხელმწიფისადმი

თქვენთან გეახელით, ჩვენო ხელმწიფეო, ჩვენ, ქ. პეტერბურგის მუშები; თქვენთან გეახელით ჩვენ, ჩვენი ცოლებით, ჩვენი ბავშვებით, ჩვენი უმწეო და დავრდომილ დედ-მამით და გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და მოგვანიჭოთ სამართალი. დაგვიცვათ და დაგვიფაროთ. გაღატაკებულები ვართ, ყველასაგან დევნილნი, უზომო შრომისაგან წელში ვწყდებით. ყველა ჩვენ გვლანძღავს და გვათრევს, ადამიანად არავინა გვთვლის, მონებად გვრაცხენ და გვეუბნებიან — უდრტვინველად უნდა ითმინოთ და ზიდოთ თქვენი მწარე სვე-ბედიო. ჩვენც ვითმენდით, გარნა დღითი-დღე უფრო და უფრო ღრმად ვეფლობით სიღარიბისა, უუფლებობისა და უმეცრების მორევში; სულს გვიხუთავს დესპოტიზმი და თვითნებობა, ვიხვრჩვებით. თავზევით ძალა არ შეგვწევს, ხელმწიფეო, მოთმინების ფიალა პირთამდე მოიყარა.

ხელმწიფეო, რის მოთმენაც კი შეუძლია ადამიანს, მოვითმინეთ; და დღეს იმ საშინელ ზომამდე მივაღწიეთ, რომ სიკვდილს ვარჩევთ აუტანელ ტანჯვის განგრძობას.

მუშაობაზე ხელი ავიღეთ და ჩვენს ქარხნების პატრონთ გამოვუცხადეთ, რომ სანამ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქმნება, მუშაობას არ დავუბრუნდებითო. ბევრს არ ვთხოულობთ, მხოლოდ არსებობის საშუალება ვითხოვეთ, ვითხოვეთ მხოლოდ ის, ურომლისოთაც სიცოცხლე მხოლოდ მძიმე ტვირთი, განუწყვეტელი ტანჯვაა.

პირველად იმას ვთხოულობთ, რომ ქარხნის პატრონებმა კარგად გასინჯონ ჩვენი მდგომარეობა. იმათ ამაზე უარი გვითხრეს. ის კი არა, შემოგვიტიეს: უფლება არა გაქვსთ, რამე მოითხოვოთო, კანონი არ განიჭებსთ ამის უფლებასაო. უკანონოდ იცნეს ჩვენი თხოვნაც. ჩვენ ვითხოვდით: სამუშაო დღე 8 საათზე დაეყენებინათ. ჩვენის სამუშაო ქირა ჩვენთან ერთად მოლაპარაკებით და ჩვენის თანხმობით დაეწესებინათ; როცა ქარხნების მდაბალ ადმინისტრაციასთან რამე უთანხმოება მოგვივიდოდა, ეს უთანხმოება გაერჩიათ; უბრალო შავ მუშათა და ქალთათვის დღეში მუშაობისათვის მანეთი მიეცათ ქირად; გაეუქმებინათ დაწესებულ ვადაზე ზედმეტი მუშაობა; ავადმყოფობის დროს უფრო ყურადღებით გვიექიმონ და აღარ გვლანძღონ ხოლმე; სახელოსნოები ისეთები ააშენონ, რომ შიგ მუშაობა შეიძლებოდეს და ორპირ ქარებისაგან არა ვცივდებოდეთ, ზედ თოვლი და წვიმა არ დაგვდიოდეს. ყოველივე ეს, ქარხნის პატრონთა აზრით, კანონის საწინააღმდეგო ყოფილა, ყოველი ჩვენი თხოვნა — დანაშაულობაში ჩამოგვართვეს, ვინ მოგცათ ნება თქვენის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის იზრუნოთო! ეს კადნიერებაა თქვენის მხრით, ქარხნის პატრონთ სახელს უტეხავთ, შეურაცხყოფას აყენებთო!

ხელმწიფეო! ჩვენ აქ სამ ათასზე მეტნი გახლავართ. და ადამიანი გარეგნულად თუ დაგვიძახებს ვინმე, თორემ ნამდვილად ჩვენ წართმეული გვაქვს ყოველი ადამიანური უფლება. იმის უფლებაც კი არა გვაქვს, ვსთქვათ რამე, ვიფიქროთ, შევიკრიბნეთ, ჩვენის ჭირბოროტის შესახებ მოვილაპარაკოთ, ჩვენი მდგომარეობა გავაუკეთესოთ.

აქამდე ყველანი ჩვენ გვყვლეფდნენ. და სანამ თქვენი ბიუროკრატია იქნება, ეს ყვლეფა არ მოგვაკლდება. ყველა ჩვენთაგანი, ვინც კი გაჰბედა და მუშათა კლასის ინტერესებს გამოექომაგა, ან სატუსაღოებში ჩაალპეს ან და ციმბირის გზას გაუყენეს. გულკეთილობასა და დაჩაგრულ მოძმის შებრალებას ყველას დანაშაულში უთვლიან.

ხელმწიფეო, განა ეს ეთანხმება ღვთიურ კანონს, რომლის ძალით შენ ხელმწიფობ? განა შეიძლება კაცმა გაუძლოს ასეთს კანონებსა? არა სჯობია, გავსწყდეთ, გავსწყდეთ მთელის რუსეთის მშრომელი ხალხი! დეე მხოლოდ კაპიტალისტებმა და მოხელეებმა იცხოვრონ, დეე მხოლოდ ისინი დასტკბნენ სიცოცხლითა.

თქვენის სასახლის წინ შეკრებილნი გევედრებით გვიხსნათ ამ გაჭირვებისაგან; ნუ მოგვაკლებთ თქვენს დახმარებას; წამოაყენეთ თქვენი ხალხი უუფლებობის, სიღარიბის და უმეცრების საფლავიდან და მიანიჭეთ საშუალება თვითონვე იმეცადინოს თავის მდგომარეობის განვითარებისათვის. გვიხსენით ბიუროკრატიის აუტანელ უღლისაგან. დაანგრიეთ კედელი, რომელიც ამართულა თქვენსა და თქვენს ხალხს შორის, შეაძლებინეთ თქვენს ხალხს თქვენთან ერთად მართოს ქვეყანა. შენ მის საკეთილ-

დღეოდ ხარ გაჩენილი, ხოლო ამ კეთილდღეობას მოხელეები ძალით გვწირავენ და მის წილ გვაჩრიან მწუხარებას და დამცირებას.

განურისხებლად მოისმინეთ ჩვენი ვედრება. ამას მოითხოვს თქვენი და ჩვენი კეთილდღეობა, ამას მოითხოვს საჭიროება ჩვენის უკიდურეს ყოფისაგან გამოსვლისა. რუსეთი მეტად ვრცელია, მისნი საჭიროებანი მეტად მრავალგვარნი არიან და მარტო მოხელეებს არ შეუძლიათ ქვეყნის საქმეს გაუძღვნენ. აუცილებლად საჭიროა ხალხის წარმომადგენელთაც მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის საქმეში, რადგან თვით ხალხმა უკეთესად იცის, რა უჭირს და რა არა.

ხელს ნუ ჰკრავთ მისს დახმარებას ; მიიღეთ ეს დახმარებაც და ბრძანეთ მოხდეს კრება ყველა კლასთა და მათს შორის მუშათა კლასთა წარმომადგენელთა ; (1) ყველას მიენიჭოს თანასწორი და თავისუფალი საარჩევნო უფლება. ბრძანეთ, რომ სახალხო კრებაზე არჩევნები ფარულის კენჭისყრით მოხდეს. ეს არის სვენი თავი და თავი სათხოვარი, ყველაფერი შიგ არის მოთავსებული. ეს არის ერთად-ერთი უებარი მალამო, რომელიც პირს შეუკრავს ჩვენს ჭრილობებს. უამმალამოდ ეს ჩვენი ჭრილობები თან გადაგვიყოლიებენ და სამარის კარამდე მიგვიყვანენ.

გარნა, მხოლოდ ეს ერთი საშუალება არა კმარა ყველა ჩვენთა ჭრილობათა განსაკურნებლად, და, მაშასადამე, აქვე მოგახსენებთ, როგორც მამას, პირდაპირ და გულახდილად, ყველა მშრომელ კლასთა სახელით, თუ რა საშუალება მიგვაჩნია კიდევ საჭიროდ.

I. — ზომანი უმეცრებისა და უუფლებობის წინააღმდეგ :

1) თავისუფლება და ხელუხლებლობა პიროვნებისა, თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, თავისუფლება შეკრებისა, თავისუფლება სინიდისისა სარწმუნოების საქმეში ;

2) სახელმწიფო ხარჯით საყოველთაო და სავალდებულო სახალხო სწავლა-განათლება იქმნას შემოღებული ;

3) მინისტრები პასუხისმგებელნი იყვნენ ხოლმე ხალხის წინაშე და მართვა-გამგეობის კანონიერება უზრუნველ იქმნას ;

4) კანონის წინაშე ყველანი გამოუკლებლივ თანასწორნი იქმნენ ;

5) დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქმნენ ყველანი, ვინც თავიანთის აზრებისა და რწმენის გამო დაისაჯნენ და იტანჯებიან.

II. — ზომანი ხალხის გაღარიბების წინააღმდეგ :

1) არაპირდაპირი გადასახადი გაუქმებულ იქმნას და მის მაგიერ შემოღებულ იქმნას პირდაპირი გადასახადი, შემოსავლის კვალობაზე ;

2) გაუქმება მამულების სავალდებულო გამოსყიდვისა, შემოღება იაფ სესხისა და თანდათანი გადაცემა მიწებისა გლეხების ხელში.

---

(1) ამ კრებას დაესწროს კაპიტალისტიც, მუშაც, მოხელეც, მღვდელიც, ექიმიც, მასწავლებელიც. ყველამ, სულ ერთია ვინც უნდა იყოს, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი.

III. — ზომანი კაპიტალის მიერ შრომაზე გაბატონების წინააღმდეგ :

1) კანონის მიერ შრომის ცვა-ფარვა ;

2) თავისუფლება მუშათა მომხმარებელ-მწარმოებელ და საპროფესიონალო კავშირებისა ;

3) რვა საათის სამუშაო დღე და გაწესრიგება ზედმეტ სამუშაოს ფასისა ;

4) შრომას მიენიჭოს თავისუფლება კაპიტალთან ბრძოლისა ;

5) სახელმწიფოს მიერ მუშათა დაზღვევის კანონმდებლობის შემუშავებაში მუშათა წარმომადგენელნიც იღებდნენ მონაწილეობას ;

6) სამუშაო ნორმალური ქირა.

აი, ხელმწიფეო, ჩვენნი მთავარნი მოთხოვნილებანი. და მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს რუსეთი სისაწყლესა და მხოლოდ მაშინ დაადგება წარმატების გზას, როცა ეს საჭიროებანი დაკმაყოფილებულნი იქმნებიან. ბრძანე და დაიფიცე, რომ დაკმაყოფილებულ იქმნება ჩვენი აჯა. მაშინ გახდი რუსეთს ბედნიერად, ხოლო შენს სახელს საუკუნოდ სალოცავად გაგვიხდი საშვილისშვილოდ.

უკეთუ სათანადო ბრძანება არ გაეცი, უკეთუ ჩვენი აჯა არ შეისმინე, ჩვენ ყველანი ამ მოედანზე, შენის სასახლის წინ, გავსწყდებით. ჩვენ არ ვიცით, ვის მივმართოთ და საით წავიდეთ. ორი გზა-ღა დაგვრჩენია : ერთია გზა, რომელსაც შეუძლია მოგვანიჭოს თავისუფლება და ბედნიერება ; მეორეა, რომელსაც შეუძლია სამარის კარამდე მიგვიყვანოს. გვიჩვენე, რომელს დავადგეთ. თუ მრავალტანჯულ რუსეთს დასჭირდება ჩვენი თავი, ჩვენ მზად ვართ მის სანაცვლოდ წავიდეთ და არც კი ვინანოთ ჩვენის თავის მსხვერპლად შეწირვა ».

ს ი ნ დ ი კ ა ლ ი ზ მ ი

ახალი მიმართულება მუშათა მოძრაობაში

(დასასრული *)

გავარჩიოთ ეხლა მეორე ნაწილი მეორე განყოფილებისა. — რისთვის დაინახა ლიონის კონგრესმა საჭიროდ გამოეცხადებინა კონფედერაცია ყოველ პოლიტიკურ სკოლათა გარეშე ? ჩვენის მოხსენების პირველი ნაწილი იძლევა ამ კითხვის პასუხს : იმისათვის, რომ ოცის წლის პოლიტიკურმა მოქმედებამ ს.-დ. პარტიებთან ერთად პროლეტარიატს არაფერი მოუტანა გარდა წეწვა-გლეჯისა ერთმანერთში, ქიშპობისა და სოციალისტურ პრინციპთა ღალატისა : იმიტომ, რომ ეხლა მუშა ხალხი მომწიფდა და მას აღარ სჭირდება პოლიტიკურ კარიერიერისტების „ოპეკუნობა ". მან ეხლა იცის, რა არის მისი მიზანი, აგრეთვე ის საღსარი, ამ მიზნის განსახორციელებლად რომ უნდა იხმაროს. ეს ეხლა ყველასათვის ცხადია, და ამ ნიადაგზედ სინდიკალისტების აზრის დამახინჯება ყოვლად შეუძლებელია ს.-დ. პარტიის მიერ. ამას თვით ს.-დ—აც მიხვდა. ამიტომ სხვა არგუმენტებს მიჰმართა. — თქვენაო, — ეუბნება იგი ანარქისტებსა და სინდიკალისტებს, — პოლიტიკურ პარტიათა გავლენის გარეშე იმისათვის გამოაცხადეთ თავი, რომ პოლიტიკურ ინდიფერენტიზმით ხართ შეპყრობილი და პოლიტიკურ ბრძოლას უარჰყოფთო. ეს ცილისწამებაა. არც სინდიკალისტები, არც ჩვენ, ანარქისტები, მომხრენი სინდიკალიზმისა, პოლიტიკურად ინდიფერენტიზმით არა ვართ შეპყრობილი და არც პოლიტიკურ ბრძოლას ვყოფთ უარს. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ პოლიტიკური ბრძოლა

---

*) ნ. „საქართველო" № 19 — 20.

სხვანაირად გვესმის. ჩვენ პოლიტიკურ ბრძოლას ეკონომიურ ბრძოლას ვუმორჩილებთ. როგორც დიდი ინტერნაციონალი, აწ გარდაცვალებული ს.-დ. წყალობით. ს.-დემოკრატიისათვის პოლიტიკური ბრძოლა პარლამენტარიზმსა ნიშნავს. სარევოლუციო სინდიკალიზმი და ანარქისტები აღიარებენ პარლამენტს როგორც იმ ორგანოს, რომელსაც მიზნად აქვს კლასთა ბრძოლის სიმწვავის შემცირება და მათს შორის ეკვილიბრიუმის დამყარება. ჩვენთვის პოლიტიკას და პოლიტიკურ ბრძოლას სხვა მინაარსი აქვს, და ეს მინაარსი ჩვენის აზრით უფრო ეთანხმება თანამედროვე მეცნიერების დასკვნათა და გამოკვლევათ. როდესაც ძველი ინტერნაციონალისტები ამბობდნენ, რომ ყოველი კლასიური ბრძოლა იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლაა, ეს უმეტეს ნაწილისათვის იმას კი არ ნიშნავდა, რომ ვითომ ყოველ კლასს პარლამენტარიზმის ნიადაგზე უნდა ებრძოლა. პოლიტიკა გარეგანი მოვლენაა. იგი ცხოვრების მოწყობილობის მინაარსი კი არ არის, არამედ ფორმაა. ამისათვის ამბობენ ხოლმე, რომ ყოველ განსაზღვრულ ეკონომიურ ფორმას თან მოჰყვება ხოლმე შესაფერი პოლიტიკური ფორმაც. განსაზღვრული პოლიტიკური ფორმა დამყარებულია განსაზღვრულ იურიდიულ ნორმებზედ. ის იურიდიული ნორმები სწორედ იცავენ დაკანონებულ განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობას ადამიანთა შორის. ავიღოთ, მაგალითად თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება. ავიღოთ სწორედ ის ქვეყანა, რომელიც კაპიტალიზმის კლასიურ ქვეყანად ითვლება, — ინგლისი. რა იცავს ინგლისში კაპიტალისტურ წესწყობილებას? ვიცით, რომ ამ წესწყობილებას ებრძვის დიდი უმრავლესობა ინგლისის ხალხისა, კლასთა ბრძოლა გამწვავებულია, და რომელიმე ორგანო რომ არ იცავდეს ამ მდგომარეობას ძალით, იმ მემთხვევაში ინგლისის პროლეტარიატი ბურჟუაზიას დაამარცხებდა და თავისს იდეალს ადვილად განახორციელებდა. და აი სწორედ ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის ამ განსაზღვრულ ეკონომიურ ფორმას, რომელიც ყველასათვის სასურველი არ არის, მოჰყვა განსაზღვრული პოლიტიკური ფორმა, რომელსაც მიზნად აქვს მისი დაცვა.

ინგლისის კონსტიტუციის სტატუტებში არის შეტანილი მუხლები, რომლის ძალითაც ყოველ ინგლისელ მოქალაქეს შეუძლია იყოს მესაკუთრედ და რომლის ძალითაც ეს საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია. თუ ვინმე გაჰბედავს და ხელს ახლებს საკუთრების პრინციპს, ის სასტიკად დასჯილი და სახელმწიფო სასამართლოს მიერ დევნილი იქმნება. — ამგვარად, როგორც ვხედავთ, პოლიტიკა არის იურიდიული გამოხატულება იმ ეკონომიურ ურთიერთობისა, რომელიც ასასიათებს განსაზღვრულ საზოგადოებას. ამისათვის ბრძოლა თანამედროვე ეკონომიურ პირობათა წინააღმდეგ ყოველად შეუძლებელია ისე, რომ ეს ბრძოლა იმავე დროს არ იყოს პოლიტიკური. რადგან თანამედროვე ეკონომიურ მონობას პოლიტიკური ორგანოები იცავენ. ვინც ერთს ეომება, ის აუცილებლად მეორესაც უნდა ეომოს. ამიტომაც ჩვენ ძველ ინტერნაციონალისტებთან ერთად ვამბობთ, რომ ბრძოლა პროლეტარიატისა თანამედროვე ეკონომიურ მონობის წინააღმდეგ იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლაც არის, რადგან პროლეტარიატს ჰსურს მიწის პირისაგან აღგავოს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მონობა. ყველამ იცის, რომ გამომსატველი ამ პოლიტიკურ ძალისა, რომელსაც აბარია გამოცემა იმ კანონებისა, რომელიც წესიერ-ჰყოფს თანამედროვე ეკონომიურ მონობას, და რომლის დაურღვევლადაც თავისუფალ წესწყობილების განსორციელება შეუძლებელია, — არის სახელმწიფო; მაშ ამგვარაა საჭიროება სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისა, და მაშასადამე პროლეტარიატს არ შეუძლია თავის ინტერესებისათვის ბრძოლა ისე, რომ იმავე დროს სახელმწიფოს არ ებრძოლოს, და სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ხომ პოლიტიკური ბრძოლაა! სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის. ანუ პოლიტიკურ ბრძოლის საჭიროება მტკიცდება კიდევ მით, რომ თუ ერთის მხრივ ამა თუ იმ კერძო კაპიტალისტის დამარცხება შესაძლებელია სახელმწიფოსთან უბრძოლველად, კაპიტალიზმის დამარცხება მეორე მხრივ, როგორც მთელის სისტემისა, შეუძლებელია სახელმწიფოს დაუნერგველად. მუშათა კორპორაციები ებრძვიან მაგალითად ერთს ან მეორე კაპიტალისტს. ვსთქვათ, ერთიც და მეორეც დამარცხდა მუშებისაგან, მათი ქარხანა დაიხურა. მერე რა? განა ის მუშები, რომელნიც ამ ქარხნებში მუშაობდნენ და მოხების მოვალეობას ასრულებდნენ, თავისუფალ კაცებად გახდნენ? სრულიადაც არა. გამარჯვებული მუშები თვითონვე იძულებული იქმნებიან მალე მონახონ სხვა მექარხნე, რომ მას მიჰყიდონ თავიანთი მწარმოებელი ენერგია. რაც შეეხება დამარცხებულ კაპიტალისტების ქარხნების დაღუპვას, ეს თითქმის ყოველთვის სასარგებლო იქმნება მათს უწინდელ კონკურენტებისათვის.

აქედან ცხადათა სჩანს, რომ შეიძლება კერძო კაპიტალისტი დაამარცხოს მუშამ, ისე, რომ კაპიტალიზმის სისტემა სრულიადაც არ შეირყეს. მხოლოდ მოხდება საზოგადო კაპიტალის ცოტაოდენი კონცენტრაცია. ხოლო როდესაც მუშა შეეტაკება თვით მთელ სისტემას კაპიტალიზმისას, მას წინ გადაეღობება ხოლმე უზარმაზარი და საზიზღარი მანქანა სახელმწიფოისა ჯანდარმებით, ჯამუშებით, საპყრობილეებით, სასამართლოთი, მხედრობით! ამ შემთხვევაში, ყოველთვის ოდა ეკონომიური ბრძოლა იღებს ნამდვილ მუშურ-სოციალისტურ სახიათს, ის იქცევა სამოქალაქო ბრძოლად, და მე მგონია, რომ თვით ს.-დ—თვისაც კი ცხადია, რომ სამოქალაქო ბრძოლა პოლიტიკური მოვლენაა.

ასე ახსნილი პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ვხედავთ, ს.-დ—ის პოლიტიკანობას ძრიელ ცოტათი წააგავს. ს.-დემოკრატების პოლიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა — პარლამენტარისტობაა, ლეგალიზმია, ოპორტუნიზმია, რეფორმიზმია, რაც გინდათ, ყველაფერია გარდა პოლიტიკურ ბრძოლისა! მუშა ხალხი ამბობს; სახელმწიფო ჩემი მტერია, მე მას უნდა ვებრძოლო, ის უნდა დავანგრიოვო; ს,-დ—ია კი ეუბნება: სარევოლუციო ფრაზებს თავი დაანებე, პარლამენტში გამგზავნე, სახელმწიფო დაწესებულებებში მედი, ბურჟუაზიას ეგაჭრე, რომ ცოტაოდენი რამ მაინც დაგითმოს სახელმწიფო მეზანიზმის მართვაში და ამითი შენი საქმე გაკეთდებაო! ამნაირმა "პოლიტიკურმა ბრძოლამ" ს.-დ—ია იქამდის მიიყვანა, რომ ზოგიერთ ქვეყნებში ეს ვაჟბატონები ჟანდარმებად და ბოქაულებადაც კი ბრძანდებიან!.. მაგ., მვეიცარიაში, ქალაქ ვეგეში ადგილობრივი ბოქაული ს.-დემოკრატიის ოფიციალური წევრია და მათი დეპუტატი! აგრეთვე ციურიხში ადგილობრივი ბოქაული ს.-დ—იის წევრია, რუმინიაში და ბოლგარიაში ხომ ბევრია ჟანდარმები და პოლიციელები ს.-დ—იის პარტიიდან... ვითომ და რაღა, „სახელმწიფო ძალა" უნდა ჩაგიგდოთ ხელშიო! — ჩვენთვის კი პოლიტიკური ბრძოლა ჟანდარმის მუნდირის ჩაცმას კი არა ნიშნავს, არამედ ჟანდარმებისა და მთელის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას! აი რითი განირჩევა ანარქისტებისა და სინდიკალისტების პოლიტიკური ბრძოლა ს.-დ. პოლიტიკურ ბრძოლისაგან, რომელიც გამოიხატება ლეგალურ მოქმედებაში, სახელმწიფო ჩაზანიზმის ხელში ჩაგდებაში, საარჩევნო ინტრიგებში და პარლამენტში დეპუტატების გაგზავნაში, და არა თვით ამ სახელმწიფო მეზანიზმის დაშლა-დარღვევაში. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, თუ რად გამოაცხადეს სინდიკატებმა თავი „ყოველ პოლიტიკურ სკოლის გარეშე". ამით სინდიკატებმა ლეგალიზმი, პარლამენტარიზმი და სახელმწიფო უარჰყვეს, და მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს, წინააღმდეგ ს.-დ—ტულ და ყველა მათ მსგავს პოლიტიკანურ პარტიათა, რომელთაც „ლეგალური რევოლუცია" უნდათ რომ მოახდინონ და ამ მიზნით წამ და უწუმ უშნოდ და ულაზათოდ შედიან სახელმწიფო დაწესებულებებში.

IV.

ბოლოს, ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ ავირჩიეთ ჩვენის მოხსენების საგნად სინდიკალიზმი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი პროპაგანდისტები სრულიად არ იცნობენ ამ მოძრაობას. მეორე იმიტომ, რომ რუსეთის ს.-დ—ტია ამ ბოლო დროს დამახინჯებულ ცნობებს იძლევა ამ მოძრაობის შესახებ, რასაც ჩვენი ქართველი ს.-დ—ია თუთიყუშივით იმეორებს, რადგანაც მას თვისი საკუთარი საკვლევი ინიციატივა არ აქვს და საზოგადოდ თავისის ტვინით ფიქრი არ შეუძლია. მესამე იმიტომ, რომ ს.-დ—ია თითქმის ყოველ თავის გამოცემულ ბროშურაში ურცხვად სწერს, რომ ერთად-ერთი მესაძლო ფორმა სოციალიზმისა და სოციალისტურ მოძრაობისა მარქსიზმი და ს.-დ—ია არისო. ამ მოხსენებაში, ჩვენ გვგონია, საკმაოდ გამოვარკვიეთ სახიათი სინდიკალიზმისა, როგორც მის იდეალისა, ისე მის მოძრაობისა და ტაქტიკისა.

ესლა გადავავლოთ თვალი, თუ როგორია სინდიკალიზმის მდგომარეობა საზოგადოდ ევროპაში. საფრანგეთის შესახებ ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ სინდიკალიზმი წარმოადგენს 16,59% მთელის მუშებისას, მაშინ როცა ს.-დ—თა პარტია 1%-ზედ გაცილებით ნაკლებია. ესპანიაში ერთად-ერთი მოძრაობა, რომელსაც რაიმე გავლენა აქვს ესპანიის საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობაზედ, სინდიკალური მო-

ძრაობაა, და ამ მოძრაობასთან ანარქისტები მჭიდროდ არიან შეერთებულნი. ესპანელთა სინდიკალური მოძრაობა კიდევ უფრო რევოლუციონურია, რადგანაც აქ ანარქისტთა გავლენა კიდევ უფრო მეტია, ვიდრე საფრანგეთში. ესპანია ინტერნაციონალიდამვე დაადგა ამ გზას. მას თავიდანვე არ ჰქონდა რწმენა ლეგალურ მოძრაობისა. ამისათვის ესპანიაში ს.-დ—იამ ფეხი ვერ მოიკიდა, მას დღემდის ერთი დეპუტატიც არა ჰყავს პარლამენტში, თუმცა ესპანიის ს.-დ—ტიის წარმომადგენელს, პაბლო იგლესიას, ხშირად მთავრობაც ეხმარებოდა დეპუტატად გამხდარიყო. საზოგადოდ მთავრობას არ სწყინს დეპუტატად გახდომა რევოლუციონერისა (ამითი ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ესპანიის მთავრობა იგლეზიასის რევოლუციონერობამ დააფრთხო!), რადგანაც დეპუტატობა რევოლუციონერობის სიკვდილია, რადგან დეპუტატი კანონის კაცია, რევოლუციონერი კი კანონის დამრღვევი. ამ ჟამად მთელი ესპანიის მოძრაობა, მთელი ის განუწყვეტელი რიგი საზოგადო გაფიცვათა, აუარებელ აჯანყებათა, სინდიკალიზმის საქმეა. ეს უზარმაზარი რეგიონალური ორგანიზაციები, დიდი ნაციონალური ორგანიზაციები აგრეთვე სინდიკალური ორგანიზაციებია. ეს ორგანიზაციები ყველა ერთად 50-მდე ორგანოს სცემს; ერთის სიტყვით, სინდიკალიზმი ესპანიაში ისეთს ფართო მოძრაობას წარმოადგენს, რომ მასთან შედარებით იქაური ს.-დ—ია სულ მცირედია.

ამ ბოლო დროს იტალიაშიაც დაიწყო ძლიერის ენერგიით განვითარება სინდიკალიზმმა. ერთი უუჭკვიანესი წარმომადგენელი ამ ახალ მოძრაობისა იტალიაში — არტურო ლაბრიოლა სწორედ ამგვარსავე აზრებს წარმოსთქვამს სინდიკალიზმის შესახებ, როგორიც ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ. ერთის სიტყვით, თუ იტალიაში, ერთის მხრივ, ოპორტუნისტების (ტურატისტები) ზედგავლენა იზრდება, იქაურ «Camera di Lavoro»'ებში სიმაგიეროდ უფრო და უფრო ვითარდება სარევოლუციო სინდიკალიზმი.

რაც შეეხება ჰოლანდიას, იქ არა თუ ანარქიზმი, არამედ საზოგადოდ სოციალიზმი შეტანილ იქმნა იმ კაცისგან, რომელიც დღეს ანარქიზმის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება, — დომელა ნიოვენჰაიზის მიერ. აქაც სარევოლუციო ეკონომიური მოძრაობა უფრო მნიშვნელოვანია და მას მრავლისგან უმრავლესი მომხრე ჰყავს. აქაური ს.-დ—ია ჯერ ერთი რომ ძლიერ სუსტია და მერე, რაც არის, ისიც ბერნშტეინის მიმდევარია. ჰოლანდიის პარტიას რომ გერმანიის პარტია არ ეხმარებოდეს თავისის ფულით, დღემდის ოთხმოცდაათჯერ სულს დაჰლევდა...

ინგლისი ხომ კლასიკური ქვეყანაა ტრედ-უნიონიზმისა! მაგრამ დღემდის ამ ტრედ-უნიონიზმს არა ჰქონია რევოლუციონურ-სინდიკალური ხასიათი. დღეს თუ ტრედ-უნიონიზმში, ერთის მხრივ, ს.-დ—ია შევიდა და სცდილობს იგი თავის მხარეზე გადაითრიოს, მეორეს მხრივ გამარჯვების მეტის შანსებით შევიდა სარევოლუციო სინდიკალიზმი. მომავალი გვაჩვენებს, ვის დარჩება გამარჯვება.

შეერთებული შტატები იმავე სურათს წარმოადგენენ, როგორც ინგლისი თითქმის. თუმცა ანარქისტული მოძრაობა იქ გაცილებით უფრო ძლიერია და საზოგადოდ სარევოლუციო სული უფრო ფართოდ ტრიალებს იქაურ მუშათა შორის, ს.-დ—ული პარტია, როგორც ისპანიაში, quantité négligeable'ს წარმოადგენს. — სამხრეთ ამერიკაში, როგორც მაგალითად, არგენტინის რესპუბლიკაში, ყველამ იცის, თუ როგორი ძლიერი მოძრაობაა ანარქისტებისა და სინდიკალისტებისა ესპანელ და იტალიელ მუშათა ზედგავლენით.

ღირსშესამჩნევ ქვეყანათა შორის დაგვრჩა გერმანია და ბელგია. ამ ორ უკანასკნელ ქვეყანაში ყოველ მჭვს გარეშეა ს,-დ—იის ძლიერება. ამ ორ გამაგრებულ ციხეშიაც კი შევარდა ბოლოდროს თანამედროვე სარევოლუციო სინდიკალიზმის ძალა. საერთო გაფიცვის პროექტმა ყველგან და ყველას ყურადღება მიიქცია. მუშა გრძნობს, რომ მისი ხსნა ამ სახსრის შეგნებულ ხმარებისაგან არის დამოკიდებული. ამ ბოლო დროს გერმანიიდან ამბავი მოვიდა, რომ ანარქისტებისა და დოქტორ ფრიდებერგის პროპაგანდამ საერთო გაფიცვის იდეის გასავრცელებლად და პარლამენტარიზმის წინააღმდეგ თვალსაჩინო შედეგი მოიტანა. მუშები ესლა თხოულობენ, რომ ს.-დ. პარტია საერთო გაფიცვის პროექტს მეტის პატივისცემით მოეპყრას. ს.-დ—ია იძულებული იყო სიერთო გაფიცვაზე ალაპარაკებულიყო და აღეარებინა, რომ საერთო გაფიცვა ისე სულელური რამ არ არის, როგორც მას ეს უმალ ეგონა. ერთის სიტყვით, აქაც რუტინერთა და ნოვატორთა შორის, წარსულსა და მომავალს შორის, საშინელი ბრძოლა ასტყდა, და ჩვენ ვეკუთვნით იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთაც რწმენა აქვსთ მომავლისა.

რაც შეეხება ბელგიის ს.-დ—იას, თვით ს.-დ—ბიც იძულებულნი არიან აღიარონ, რომ მათ უღალატეს სარევოლუციო ტაქტიკას. სარევოლუციო მოძრაობის მონოგრაფიაში განა-და ღირს ლაპარაკი იმ პარტიაზე, რომელიც ურცხვად თავის თავს პროლეტარიატის სარევოლუციო პარტიას უწოდებს და მუხლმოდრეკილი ბელგიის მეფე ლეოპოლდს, რომელიც დიდად ცნობილია პარიზის დიდ ბულვრების მეძავ ქალთა შორის და დიდად მიღებული პარიზის პირველხარისხოვან საროსკიპო დარბაზებში, თხოვნებს აძლევს! ეს არის რევოლუციონერობა, ეს არის სოციალიზმი? ამნაირ ხალხს უნდა მიენდოს კაცობრიობისათვის მომავლის შექმნა?.. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ვ. ჩერქეზიშვილის მიერ მოყვანილი სიტყვები აბრამ ლინკოლნისა (1): «Ion can fool all the people some of the time, and some of the people all the time, but Ion cannot fool all the people all the time». — „თქვენ შეგიძლიათ ყველა ასულელოთ რამოდენსამე ხანს, რამოდენიმე ყოველთვის, მაგრამ ყველა რომ ყოველთვის ასულელოთ — ეს შეუძლებელია"! ასე დაემართება ბელგიელ ს.-დემოკრატიასაც. ყველას ყოველთვის ვერც ის გაასულელებს, ხალხი გაიღვიძებს, და გაღვიძებული ხალხი მით უმეტეს ზიზღს გამოიჩენს ს.-დ—დმი, რაც ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივად ატყუებდა მას. და ხალხის გაღვიძება არც ისე შორს არის, როგორც ეს. შეიძლება, ბბ. სოციალ-დემოკრატებს ეგონოთ!..

გავათავეთ. სხვათა შორის, ისიც გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ დასავლეთ ევროპაში ს.-დ—ია არა თუ მუშათა მოძრაობის ერთად-ერთ ფორმას არ წარმოადგენს, არამედ მისის დაცემის ხანა უკვე დაიწყო. ლათინთა რასის ხალხი ან უკვე განთავისუფლდა ს.-დ—იის მონობისაგან, ან განთავისუფლების გზაზედა სდგას. რაც შეეხება გერმანელ ხალხს, ინგლისს გარდა, პოლიტიკურ პროგრესის მსვლელობაში ყოველთვის უკან რჩებოდა ლათინთა ხალხს, და ეხლაც ჩამორჩენილია. ქართველ სოციალისტებს ს.-დ—სთან ურთიერთობის გაწყვეტის არ უნდა ეშინოდეს, ვაი თუ ამით საერთაშორისო სოციალიზმთან გავსწყვიტო კავშირიო. ს.-დემოკრატიამ რევოლუციონურ, პროლეტარულ საერთაშორისო მოძრაობასთან თვით კარგა ხანია გასწყვიტა კავშირი, ასე რომ ს.-დ—სთან დარჩენა არა ნიშნავს პროლეტარიატთან საერთაშორისო კავშირის გაუწყვეტლობას.

ის სარევოლუციო ძალა, რომელიც შეჰქმნის მომავალ თავისუფალ კაცობრიობას, ესლა იკრიბება მუშათა რევოლუციონურ ორგანიზაციებში. და ჩვენ, ქართველებს, თუ გვინდა, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მომავალ თავისუფალ საზოგადოების აშენების საქმეში, ეხლავე უნდა დავიწყოთ მონაწილეობის მიღება ამ დიად საერთაშორისო სარევოლუციო სოციალისტურ მოძრაობაში. ეკონომიური და პოლიტიკური სრული თავისუფლება სადღესასწაულო საჩუქარი კი არ არის, და არ უნდა ველოდეთ, — მოგვიტანენ და კალთაში ჩაგვიგდებენო, არამედ ბრძოლით, ძალით, იარაღით ხელში და სისხლის ღვრით მოიპოვება ეს უძვირფასესი განძი. უკვე მებრძოლი რაზმები ეწყობა, ყველანი თავ-თავის ადგილს იჭერენ, და შორს არ არის ის დრო, როდესაც სამოქალაქო ომის ბუკი და ნაღარა სოციალურ რევოლუციის დაწყებას გვაუწყებს. და ვაი იმ მხარეს, რა მხარეც თავის ენერგიას საერთაშორისო ბრძოლას არ მოახმარებს და განზედ გამდგარი და ყრუდ ჩაძინებული კაცობრიობის განახლების ხანისას ვერაფერს გაიგებს! უთქვამსთ, სოციალურ რევოლუციას გალლიის მამლის ყივილი მოასწავებსო.

მაშ, მამალო, იყივლე რაღა!..

ა. ორბეიანი.

(1) იხილე В. Черкезовъ «Наука-ли это?»

იბეჭდება და მალე გამოვა ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმები.

გაზ. „საქართველოს" სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.